საქართველოს ტურიზმის სექტორი

ტურიზმის ბაზრის მიმოხილვა

საქართველოს ზამთრის კურორტებზე ვიზიტორების რაოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. სამთო კურორტების მმართველმა უწყება, "მთის კურორტების განვითარების კომპანიამ", 2016-2017 წლის სეზონის შემაჯამებელი სტატისტიკა გამოაქვეყნა. ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო, გუდაურში სეზონი დეკემბრის დასაწყისში გაიხსნა, ხოლო წლის ბოლოსთვის ყველა ზამთრის კურორტი მასპინძლობდა ვიზიტორებს. სეზონის ადრე გახსნამ ხელი შეუწყო ვიზიტორების რაოდენობის ზრდას. კერძოდ, ზამთრის კურორტებზე ვიზიტორების რაოდენობამ სეზონზე გადააჭარბა 400,000-ს (+37.0% წ/წ). მთის კურორტების კომპანიის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვიზიტორების დაახლოებით 20% იყო უცხოელი, რაც მიუთითებს განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობებზე.

გუდაური კვლავ ყველაზე მიმზიდველი სათხილამურო კურორტია, უმასპინძლა რა 276,000-ზე მეტ ვიზიტორს სეზონის განმავლობაში (+37.1% წ/წ). გუდაურში გასამაგებულია ვიზიტორების რაოდენობა 2011-2012 წლის შემდეგ, როდესაც კურორტს დაახლოებით 89,000 ვიზიტორი ეწვია. რუსეთის საზღვართან სიახლოვე კურორტს რუსი ტურისტებისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველს ხდის. ამ ეტაპზე გუდაური დამსვენებლებს სთავაზობს 10 საბაგიროს 70კმ-იანი ტრასებით სადაც შესაძლებელია როგორც თხილამურებით და სნოუბორდით სრიალი, ასევე პარაგლაიდინგი და ჰელისკიინგი. მთის კურორტების განვითარების კომპანია და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მუშაობენ კობი-გუდაურის 7.5კმ-იან საბაგიროს მშენებლობაზე, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს გუდაურსა და ყაზბეგს. პროექტი სავარაუდოდ 2018 წელს დასრულდება. გარდა ამისა, ხელოვნური გათოვლიანების მიზნებისთვის მოეწყობა ხელოვნური ტბაც, რაც ხელს შეუწყობს გუდაურში სეზონის გახანგრძლივებას.

კომპანია რედ-კო გუდაურის განვითარებაში 150 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. კომპანიამ წარადგინა ფაზიანი პროექტი, რომელიც მომზადებულია Ecosign-ის მიერ შექმნილი გუდაურის განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით. რედ-კომ შეიძინა 50 ჰექტარი მიწა დაგეგმილი პროექტის განსახორციელებლად. რედ-კო ამჟამად ფლობს ოთხ აპარტოტელს ახალ გუდაურში, სადაც დაახლოებით 350 ოთახია განთავსებული. მასშტაბური პროექტი მოიცავს 26 ახალი შენობის აშენებას რომელთა შორის იქნება სასტუმროები, აპარტოტელები, საკუთარი სახლები და კოტეჯები, ჯამში დაახლოებით 4,200 ახალი საწოლი.

მირითადი ინდიკატორები	
საერთაშორისო ვიზიტორები, 2016	6,360,503
ტურისტები, 2016	2,720,970
ტურიზმიდან შემოსავლები მშპ-სთან, 2016	15.1%
უვიზო რეჟიმის ქვეყნები	94
პირდაპირი ფრენები საქართველოდან	60
ავიაკომპანიები	33
განთავსების ობიექტები	1,876
ოთახები	26,385

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საგარეო საქმეთა სამინისტრო

ცხრილი 1: ვიზიტორები ქვეყნების მიხედვით, '000

ქვეყანა	5თ17	წ/წ ზრდა
აზერბაიჯანი	603	5.6%
სომხეთი	504	13.2%
თურქეთი	432	-17.8%
რუსეთი	371	22.1%
ირანი	83	224.0%
უკრაინა	65	20.2%
ისრაელი	32	54.9%
ინდოეთი	21	122.7%
გერმანია	15	26.7%
ყაზახეთი	14	18.5%
პოლონეთი	13	21.4%
აშშ	12	12.1%
უზბეკეთი	10	192.4%
ბელარუსი	9	17.2%
ფილიპინები	8	23.9%
სხვა	137	31.8%
ჯამი	2,330	9.7%

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გრაფიკი 1: ვიზიტორები ზამთრის კურორტებზე, '000



წყარო: მთის კურორტების განვითარების კომპანია
შენიშვნა: 2015 წლამდე ბაკურიანზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.
წლები აღნიშნავს სეზონის დასრულების თარიღს, 2017 აღნიშნავს 2016-2017 სეზონს და ა.შ.

გრაფიკი 2: ვიზიტორები კურორტების მიხედვით, 2017



წყარო: მთის კურორტების განვითარების კომპანია

ნინო პაპავა
საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693
კახაბერ სამყურაშვილი
ანალიტიკოსი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

გენერალური გეგმა ასევე მოიცავს გასართობი დაწესებულებების, მათ შორის, რესტორნების, სპორტული მოედნების, სპა ცენტრისა, კაზინოსა და სხვა ობიექტების აშენებას. თითოეული ფაზის დროს კომპანია აპირებს რომ შემოიყვანოს საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო. 170-ნომრიანი Raddison Blu-ს გახსნა იგეგმება 2018 წლისთვის. გარდა ამისა, კომპანიამ მიიღო წინასწარი თანხმობა Starwood Hotels and Resorts-გან Sheraton და Four Points by Sheraton-ის სასტუმროების გახსნაზე.

აქტიურ ფაზაშია ბაკურიანის განვითარებაც, რომელმაც უმასპინძლა 115,000-ზე მეტ ვიზიტორს (+24.6% წ/წ). მომავალ წლებში იგეგმება ბაკურიანში ოლიმპიური ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც მოიცავს ბიატლონის ტრასის, ტრამპლინისა და ყინულის ჰოკეის მოედნის აშენებას. გარდა ამისა, საქართველოს რეკონსტრუქციის და განვითარების კომპანია, საქართველოს მთავრობასთან კერძო სექტორის პარტნიორობის ფარგლებში, განახორციელებს 100მლნ ლარის ინვესტიციას ბაკურიანის მახლობლად მდებარე კოხტა-მიტარბის განვითარებაში. კურორტის განვითარება იგეგმება მთის კურორტების დაგეგმარებაში წამყვანი კომპანიის, Geode-ს მიერ შემუშავებული გენერალური გეგმის მიხედვით. პროექტის პირველი ფაზა მოიცავს 2017 წლის ბოლოს დაგეგმილი 100-ოთახიანი სასტუმროს გახსნას და 500-ოთახიანი აპარტოტელის აშენებას, რომლის ნაწილიც 2017-2018 წლების სეზონისთვის დასრულდება.

სვანეთის და აჭარის ზამთრის კურორტებზეც განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალია. თეთნულდმა, რომელიც 2016 წლის ბოლოს გაიხსნა, დაახლოებით 9,000 სტუმარს უმასპინძლა სეზონზე, ახლომდებარე ჰაწვალმა კი 7,300-ზე მეტი ვიზიტორი მიიღო. შემდგომი განვითარების გეგმები მოიცავს 1.8კმ და 3.5კმ საბაგიროების მშენებლობას, რომელიც მესტიას დააკავშირებს შესაბამისად ჰაწვალსა და თეთნულდთან, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კურორტებთან წვდომას მთელი წლის განმავლობაში. კურორტ გოდერძზე ვიზიტორების რაოდენობა შემცირდა დაახლოებით 4,500-მდე (-34.3% წ/წ). კურორტზე განთავსების ობიექტების მწვავე ნაკლებობის შედეგად ინვერსტორებმაც დაინახეს განვითარების პოტენციალი. ალიანს ჯგუფი კურორტ გოდერძზე 2018 წელს გახსნის 4-ვარსკვლავიან, 100-ოთახიან Ramada Resorts-ის სასტუმროს, ხოლო მეტრო ატლას ჯორჯია გეგმავს 5-ვარსკვლავიანი Metro Sky Tower-ის აშენებას 2018 წლის ბოლომდე. ორივე სასტუმროში განთავსებული იქნება კაზინო.

თბილისმა უმასპინძლა სამთო ტურიზმის ევროპისა და აზიის მე-3 საერთაშორისო კონფერენციას. კონფერენცია ორგანიზებული იყო საქართველოს მთავრობისა და მთის კურორტების განვითარების კომპანიის მიერ და ძირითადი თემა იყო „სამთო ტურიზმის მდგრადი განვითარების ინოვაციური სტრატეგიები". კონფერენციაზე შეიკრიბნენ სამთავრობო დელეგაციები, საერთაშორისო ექსპერტები და ინდუსტრიის წამყვანი კომპანიები და სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს საქართველოს სამთო ტურიზმის გამოწვევები და შესაძლებლობები.

გრაფიკი 3: განთავსების ობიექტები ზამთრის კურორტებზე



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გრაფიკი 4: საწოლების რაოდენობა კურორტების მიხედვით, 2017



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საერთაშორისო ვიზიტორები საქართველოში

2017 წლის მაისში საქართველოში შემოსული საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 0,55 მლნ-ს მიაღწია (+5.7% წ/წ). წამყვანი ქვეყნების ოთხეულიდან, ვიზიტორების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა სომხეთიდან (+8.9% წ/წ), აზერბაიჯანიდან (+8.5% წ/წ) და რუსეთიდან (+16.8% წ/წ). თურქეთიდან შემოსული ვიზიტორების შემცირება (-24.4% წ/წ) თანხვედრაშია ბოლო თვეების კლებად ტრენდთან, რაც ჯამური ზრდის ძირითადი შემაფერხებელი იყო. ევროკავშირიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ გადააჭარბა 28.000-ს (+13.0% წ/წ), მაშინ როცა უკრაინიდანაც სოლიდური ზრდა დაფიქსირდა (+20.2% წ/წ).

საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 2017 წლის პირველ ხუთ თვეში +9.7%-თ წ/წ გაიზარდა 2.33 მილიონი შეადგინა. ვიზიტორების რიცხვი გაიზარდა ყველა წამყვანი ქვეყნიდან, გარდა თურქეთისა (-17.8% წ/წ). ვიზიტორთა რაოდენობის ზრდაში წამყვანი როლი ითამაშეს სომხეთმა (+13.2% წ/წ, +2.8 პ.პ.) და რუსეთმა (+22.1% წ/წ, +3.2 პ.პ.), მაშინ როცა აზერბაიჯანის კონტრიბუცია იყო 1.5 პროცენტული პუნქტი, რადგან აზერბაიჯანიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა შედარებით ნაკლებად გაიზარდა (+5.6% წ/წ), თუმცა 2016 წლის ხუთი თვის მაღალი ბაზიდან (+22.1% წ/წ).

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის პირველი ოთხი თვის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორების 82.0% ოთხი წამყვანი ქვეყნიდან იყო, მეორადი ბაზრების მაჩვენებლებიც მკვეთრად გაუმჯობესდა. მეორადი ბაზრებიდან (ევროკავშირის გარდა) ვიზიტორების ზრდამ 5.4 პ.პ. კონტრიბუცია შეიტანა ჯამურ 9.7%-იან ზრდაში. ირანელი ვიზიტორების რიცხვი გაიზარდა 3.2-ჯერ და თითქმის 83,000-ს მიაღწია. ინდოელი ვიზიტორების რაოდენობამ 21,000-ს გადააჭარბა (+122.7% წ/წ), ხოლო ისრაელიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ თითქმის 32,000 შეადგინა (+54.9% წ/წ). ევროკავშირიდან ჩამოსული ვიზიტორების რაოდენობა 21.9%-ით გაიზარდა 2017 წლის 5 თვეში, რაც გერმანიიდან (+26.7% წ/წ), პოლონეთიდან (+21.4% წ/წ) და დიდი ბრიტანეთიდან (+22.1% წ/წ) შემოსული ვიზიტორების მკვეთრმა ზრდამ განაპირობა.

გრაფიკი 5: ვიზიტორები ქვეყნების მიხედვით, მაისი 2017 (მლნ)



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
**პროცენტული პუნქტი კონტრიბუცია ვიზიტორების მთლიან ზრდაში*

გრაფიკი 6: ვიზიტორები ქვეყნების მიხედვით, 5თ17 (მლნ)



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
**პროცენტული პუნქტი კონტრიბუცია ვიზიტორების მთლიან ზრდაში*

2017 წლის მაისის მონაცემებით, ტურისტები კვლავ წამყვან როლს თამაშობენ უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდაში. იმ ვიზიტორების რიცხვი, რომლებმაც საქართველოში 24 საათზე მეტი დაჰყვეს (ტურისტები) მაისში 19.6%-ით გაიზარდა და მთლიანი ვიზიტორების 44.4% შეადგინა. ერთდღიანი ვიზიტორების რაოდენობა შემცირდა (-9.2% წ/წ), ტრანზიტული ვიზიტორების რიცხვი კი გაიზარდა 7.2%-თ. 2017 წლის ხუთი თვის მონაცემებით, ტურისტების რაოდენობამ 0.98 მილიონი შეადგინა (+25.0% წ/წ), ერთდღიანი ვიზიტორების რაოდენობა შემცირდა (-3.4% წ/წ), ხოლო ტრანზიტული ვიზიტორების რაოდენობა წლიურად 10.1%-ით გაიზარდა.

გრაფიკი 7: ვიზიტორები კატეგორიების მიხედვით, მაისი 2017 (მლნ)



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
**პროცენტული პუნქტი კონტრიბუცია ვიზიტორების მთლიან ზრდაში*

გრაფიკი 8: ვიზიტორები კატეგორიების მიხედვით, 5თ17 (მლნ)



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
**პროცენტული პუნქტი კონტრიბუცია ვიზიტორების მთლიან ზრდაში*

ცხრილი 2: ტურიზმის ძირითადი ინდიკატორები

	2012	2013	2014	2015	2016	5თ17
ტურიზმიდან შემოსულობები, მლნ $	1,410	1,719	1,787	1,935	2,166	435*
საერთაშორისო ვიზიტორები	4,428,221	5,392,303	5,515,559	5,901,094	6,360,503	2,329,677
კატეგორიების მიხედვით						
ტურისტი	*1,789,592*	*2,065,296*	*2,229,094*	*2,281,971*	*2,720,970*	*981,668*
ტრანზიტი	*754,959*	*1,188,791*	*1,114,036*	*1,400,835*	*1,321,344*	*453,128*
ერთდღიანი	*1,883,670*	*2,138,216*	*2,172,429*	*2,218,288*	*2,318,189*	*894,881*
ქვეყნების მიხედვით						
აზერბაიჯანი	*931,933*	*1,075,857*	*1,283,214*	*1,393,257*	*1,523,703*	*602,840*
სომხეთი	*921,929*	*1,291,838*	*1,325,635*	*1,468,888*	*1,496,437*	*504,112*
თურქეთი	*1,533,236*	*1,597,438*	*1,442,695*	*1,391,721*	*1,256,561*	*431,833*
რუსეთი	*513,930*	*767,396*	*811,621*	*926,144*	*1,038,750*	*371,102*
სხვა	*527,193*	*659,774*	*652,394*	*721,084*	*1,045,052*	*419,790*
აეროპორტები	429,364	585,716	643,088	764,588	1,066,378	461,563
მათ შორის						
თბილისი	*378,947*	*462,173*	*493,895*	*627,903*	*845,830*	*394,461*
ქუთაისი	*46,272*	*54,975*	*65,528*	*77,490*	*129,551*	*38,266*
ბათუმი	*4,145*	*68,568*	*83,665*	*59,195*	*90,997*	*28,836*
განთავსების ობიექტები	826	940	1,035	1,374	1,742	1,876
ოთახები განთავსების ობიექტებში	13,123	15,781	17,303	21,429	24,854	26,385
საწოლები განთავსების ობიექტებში	30,857	37,159	40,809	51,165	59,636	63,570

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საქართველოს ეროვნული ბანკი
**2017 წლის პირველი კვარტლის წინასწარი მონაცემი*

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამომწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lkavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
დავით ნინიკელაშვილი | dninikelashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ბაჩანა შენგელია | bshenegelia@gt.ge

ანალიტიკოსი
იოსებ ქუმსიშვილი | ikumsishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge